ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.11.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 017/13

შეკითხვა:

კლიენტმა ადვოკატს სთხოვა ჩამოეთვალა სასამართლო დავის შემთხვევაში, მისი საქმის შედეგის შესაძლო ვარიანტები. დაარღვევს თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკას შესაძლო შედეგების თაობაზე კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებისას?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით“

საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას, ადვოკატმა არ უნდა მისცეს გარანტია თავის კლიენტს საქმის შედეგებთან დაკავშირებით. შესაძლოა, ადვოკატი შეპირდეს თავის კლიენტს, რომ მის საქმეს აუცილებლად წარმატებით დაამთავრებს ან განუცხადოს რომ მისი ინტერესი სასამართლო დავის დასრულების შემდეგ აუცილებლად დაკმაყოფილდება. ასეთ შემთხვევებში, სახეზეა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ თავისი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით შესაძლო შედეგებზე კონსულტაციის გაცემა არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევას, რადგან ვარაუდი იმის შესახებ თუ რა

შედეგებით შეიძლება დასრულდეს სასამართლო დავა, არ წარმოადგენს კლიენტისათვის გარანტიის მიცემას საქმის შედეგთან დაკავშირებით.

დასკვნა:

კლიენტის საქმის შედეგის შესაძლო ვარიანტების თაობაზე კლიენტის კონსულტაცია არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გარანტიის მიცემას მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აღვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევას.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.